



# ISFED

სამართლიანი არჩევნებისა  
და დემოკრატიის საერთაშორისო  
საზოგადოება

2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები

წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში

20 ივლისი - 4 აგვისტო, 2013 წელი

ამ ანგარიშის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით „ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“, USAID-ის მეშვეობით და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაფინანსებით. გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს NDI-ის, USAID-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



## I. სიტუაციის ზოგადი მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში წინასაარჩევნო კამპანია შედარებით გააქტიურდა. ორგანიზაცია პოლიტიკური პარტიებისა და მათი კანდიდატების მიერ ორგანიზებულ 40 საჯარო შეხვედრას დააკვირდა. კამპანიის გააქტიურებასთან ერთად, სამწუხაროდ, დაფიქსირდა ძალადობრივი ხასიათის ქმედებები პოლიტიკური ოპონენტების მიმართ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერის მიმდინარეობისას. ორგანიზაციამ გამოავლინა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ცალკეული შემთხვევები, ასევე, არაუფლებამოსილი პირის მიერ აგიტაციის გაწევის ერთი და სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლის საქმიანობის ხელის შეშლის 2 შემთხვევა.

ამჟამად მიმდინარეობს საპრეზიდენტო კანდიდატების და საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. „სამართლიანი არჩევნები მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა კანდიდატად რეგისტრაციის საკითხი ყველაზე პრობლემატურია.

## II. ძირითადი დასკვნები

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერის მიმდინარეობისა გამოვლინდა ძალადობრივი ქმედებები, რომლებიც ორგანიზებული იყო ყოფილი პოლიტპატიმრებისა და ყოფილი სახელისუფლებო პარტიის მიმართ რადიკალურად განწყობილი საზოგადოების ცალკეული ჯგუფების მიერ. მიუხედავად აგრესიისა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყო პრაიმერის მონაწილე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა უსაფრთხოება<sup>1</sup>.
- საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევები.
  - i. არჩევნების დანიშვნის შემდგომ, აჭარის უმაღლესმა საბჭომ აჭარის ბიუჯეტიდან 13 მილიონ 555 ათას 400 ლარი ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად გამოყო. უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგოა, რადგან „საარჩევნო კოდექსის“ მიხედვითა არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე აკრძალულია საბიუჯეტო პროგრამების ზრდა<sup>2</sup>. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით “სამართლიანმა არჩევნებმა” და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საბიუჯეტო ცვლილების შეჩერების მოთხოვნით ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართეს<sup>3</sup>.
  - ii. „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, გიორგი მარგველაშვილი, ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებას დაესწრო, სადაც მისი, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატის წარდგენა მოხდა და სიტყვით გამოსვლის

<sup>1</sup> იხ ანგარიშის მე-4 თავი.

<sup>2</sup> იხ. „საარჩევნო კოდექსი, მუხლი 49 (3);

<sup>3</sup> იხ. ანგარიშის მე-5 თავი.

შესაძლებლობა მიეცა. პარლამენტის მიერ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების წესის გამკაცრების ფონზე, მაშინ, როდესაც პარლამენტმა მარი დაუჭირა საკანონმდებლო ცვლილებას, რომლის თანახმადაც ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებებზე იკრძალება აგიტაცია, საპრეზიდენტო კანდიდატის მიერ სახელმწიფო ღონისძიებებზე დასწრება ეწინააღმდეგება ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ პოზიციასთან თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებით<sup>4</sup>.

- გამოვლინდა არაუფლებამოსილი პირების მიერ აგიტაციის გაწევის შემთხვევა. საქველმოქმედო ორგანიზაციამ - „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ საარჩევნო კოდექსის დარღვევით კოალიცია „ქართული ოცნების“ აგიტაცია გასწია. ორგანიზაციამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჩუქრად ეტლები გადასცა. საქველმოქმედო ორგანიზაციამ საზოგადოებას ინფორმაცია „ქართული ოცნების“ ოზურგეთის შტაბიდან მიაწოდა და გაწეული დახმარებისათვის პარტიას მადლობა გადაუხადა. აღნიშნული ქმედებით ორგანიზაციამ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა კანონის დარღვევით მიიღო<sup>5</sup>;
- „სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ უკრძალავს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს უფლებას, კანდიდატის სტატუსით მონაწილეობა მიიღონ და არჩეულ იყვნენ საპრეზიდენტო არჩევნებში. მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციური ნორმები ამ მხრივ, გარკვეულწილად, ნათლად არ არის ჩამოყალიბებული, თუმცა, მათი არა ფრაგმენტული, არამედ ერთობლივი, კომპლექსური განმარტებიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა კანდიდატად დარეგისტრირებაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმით კონსტიტუციის არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა<sup>6</sup>;
- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელის შეშლის მცდელობის შემთხვევა. კერძოდ, პროფესიული საქმიანობის განხორციელების გამო, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და მისი მხარდამჭერები შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტსა და „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიან დამკვირვებელზე - ირმა კიტრიაშვილზე ინტენსიურ ზეწოლას ახდენენ<sup>7</sup>.
- „სამართლიანი არჩევნები“ წინა ანგარიშში აღნიშნავდა, რომ ფონდი „ქართუს“ მიერ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“-ს დაფინანსება ამომრჩევლის მოსყიდვის საფრთხეს შეიცავს<sup>8</sup>. აღნიშნული მიზნით, ორგანიზაციამ დაიწყო ააიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის“ დაფინანსებისა და პროგრამების შესწავლა, თუმცა, „სამართლიანი არჩევნების“ მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიუხედავად,

<sup>4</sup> იხ. ანგარიშის 5.2 ქვეთავი.

<sup>5</sup> იხ. ანგარიშის მე-6 თავი

<sup>6</sup> იხ. ანგარიშის ქვეთავი 9.2 ქვეთავი.

<sup>7</sup> იხილეთ ანგარიშის 8.1 ქვეთავი.

<sup>8</sup> იხილეთ „სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის პირველი ანგარიშ, გვ. 6-7, შემდეგ ბმულზე: <http://www.isfed.ge/main/407/geo/>

მეურნეობის სამინისტრომ არ გაასაჯაროვა „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის“ დაფინანსების წყარო და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია<sup>9</sup>.

### III. რეკომენდაციები

სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად, „სამართლიანი არჩევნები მოუწოდებს:

**ხელისუფლებას** - მომავალშიც ერთმნიშვნელოვნად დაგმოს და გაემიჯნოს ძალადობის თითოეულ ფაქტს, რომელიც მიმართული იქნება პოლიტიკური საქმიანობის ხელის შეშლისკენ;

**სამართალდამცავ ორგანოებს** - გასწიონ მაქსიმალური ძალისხმევა ძალადობის თავიდან ასაცილებლად, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში გამოიყენონ ადეკვატური სანქციები;

**პოლიტიკური პარტიებისა და საინიციატივო ჯგუფებს** - უზრუნველყონ ოპონენტის მიმართ აგრესიულად განწყობილი მხარდამჭერებისა და აქტივისტების დისტანცირება სხვა პარტიის თუ კანდიდატის მიერ გამართული შეხვედრებისაგან;

მკაფოდ მოიწოდონ თავიანთ წარმომადგენლებსა და აქტივისტებს, თავი შეიკავონ დამოუკიდებელი სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლის მიმართ ნებისმიერი ხასიათის ზეწოლისგან.

**პრეზიდენტობის კანდიდატებს** - გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე კანდიდატებმა, განსაკუთრებით მმართველი პოლიტიკური ძალის კანდიდატმა, თავი შეიკავოს ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებებში მონაწილეობისაგან;

**ცესკოს და ცესკოს თავმჯდომარეს** - ცენტრალურმა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა რეგისტრაციის საკითხის განხილვის დროს მოახდინოს კანონის იმდაგვარი განმარტება, რომელიც შესაბამისობაში იქნება კონსტიტუციის 29-ე, 70-ე და 104<sup>4</sup>-ე მუხლებთან და რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა თანაბარი შესაძლებლობების რეალიზებას, დარეგისტრირდნენ კანდიდატებად;

ცესკომ იმსჯელოს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირების პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარის თქმის გადაწყვეტილებების გადახედვაზე;

**საქველმოქმედო ორგანიზაციებს** - თავი შეიკავონ ნებისმიერი ქმედებებისგან, რაც იწვევს საარჩევნო მიზნების მქონე სუბიექტებთან მათი საქმიანობის ასოცირებას;

**სახელმწიფო უწყებებს** - იყვნენ მაქსიმალურად გამჭვირვალე და ღია სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ.

---

<sup>9</sup> იხ. ანგარიშის მე-7 თავი.

## IV. პოლიტიკური საქმიანობისათვის ხელის შეშლა

### 4.1. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერი

2013 წლის 27 ოქტომბერის საპრეზიდენტო არჩევნებში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ პრეზიდენტობის კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერი საქართველოს 6 ქალაქში გამართა. მიუხედავად იმისა, რომ პრაიმერი ძირითადად შიდაპარტიული ხასიათის ღონისძიება იყო, იგი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილსაც წარმოადგენდა.

პრაიმერის პირველი ეტაპი ქუთაისში, გორსა და თელავში მშვიდ გარემოში წარიმართა. თუმცა, ზუგდიდში, ბათუმსა და თბილისში ღონისძიების პარალელურად იმართებოდა კონტრაქციები, რომლებიც აგრესიულ ხასიათს ატარებდა. ზუგდიდში კონტრაქციის მონაწილეებმა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს სხვადასხვა საგნები ესროლეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

სამივე შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მობილიზებული იყვნენ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. უნდა აღინიშნოს, რომ ზუგდიდში, ბათუმსა და თბილისში პრაიმერის გამართვისას პოლიციამ მხოლოდ სპეციალური კორდონების საშუალებით მოახერხა პრაიმერის მონაწილეთა დაცვა კონტრაქციის მონაწილეთა აგრესიული ქმედებებისგან. დაკავებულ იქნა კონტრაქციის მონაწილე რამოდენიმე პირი, რომელთაც სასამართლომ ჯარიმები შეუფარდათ.

უნდა აღინიშნოს პრემიერ-მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის<sup>10</sup> და სხვა თანამდებობის პირების მიერ აქციის ორგანიზატორებისათვის და სამართალდამრღვევთა მიმართ მიწოდებული გზავნილები<sup>11</sup>, რომლებიც შეიცავდნენ მოწოდებას საკუთარი აზრის მშვიდობიან და არაძალადობრივი ფორმით გამოხატვის შესახებ.

წინასაარჩევნო კამპანიის აქტიურ ფაზაში შესვლასთან ერთად, გამოვლენილმა შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების ძალადობრივი ფორმით შეზღუდვის ფაქტებმა შესაძლოა საფთხე შეუქმნას წინასაარჩევნო კამპანიის მშვიდად წარმართვას. მსგავსი ინციდენტების აღმოფხვრის მიზნით, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნეს სამართალდამცავი ორგანოების მობილიზება და საჭიროების შემთხვევაში ადეკვატური ღონისძიებების გატარება.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს ისეთი საარჩევნო გარემოს შექმნას, რომელშიც საარჩევნო სუბიექტები ისარგებლებენ თანასწორი საარჩევნო უფლებებით და აქტიურად აწარმოებენ წინასაარჩევნო კამპანიას. დაუშვებელია საარჩევნო სუბიექტების საქმიანობისთვის ხელის შეშლა.

ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს ორგანული კანონით „საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება ხელი შეუწყონ საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და

<sup>10</sup> იხ: შსს მინისტრის შეფასება <http://news.ge/ge/news/story/60279-irakli-gharibashvili-politikur-partiebs-mimartavs>

<sup>11</sup> იხ: პრემიერ-მინისტრის შეფასება <http://news.ge/ge/news/story/60403-ivanishvili-chveni-tsevrebi-ver-iqnebian-isini-vints-opozitsias-gamosvliis-sashualebas-ar-adzlevs>

დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამომრჩეველებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამ ღონისძიებების უსაფრთხოება.“

## V. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

### 5.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ცვლილება

საანგარშო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას ადგილი ჰქონდა აჭარის უმაღლესი საბჭოს მხრიდან. კერძოდ, საბჭომ დაარღვია საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე აკრძალულია ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე, იმ საბიუჯეტო პროგრამების ზრდა, რომლებიც არჩევნებამდე გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით, არაგეგმური ტრანსფერების ინიცირება ან გეგმური ტრანსფერის ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები უმაღლესმა საბჭომ 24 ივლისის რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე 11 ხმით დაამტკიცა.

ცვლილებების მიხედვით, ბიუჯეტში გაიზარდა გრანტების მოცულობა და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადგილის სანაპიროზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობისათვის 5 მილიონი ლარი გამოეყო. ამავე ფონდიდან 8 მილიონი ლარით დაფინანსა გოდერძის უღელტეხილზე სამთო კურორტის ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპი.

ცვლილებები განხორციელდა ჯანდაცვის პროგრამების მიმართულებებშიც - საყოველთაო დაზღვევის მეორე ეტაპის ამოქმედების შედეგად გამოთავისუფლებული თანხები მოსახლეობისთვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარებისა და ბავშვთა ფსიქოსომატური რეაბილიტაციის მიმართულებით გაიხარჯება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილებით უგულვებელყო საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვით არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე აკრძალულია იმ საბიუჯეტო პროგრამების ზრდა, რომლებიც არჩევნებამდე გათვალისწინებული არ იყო ბიუჯეტით, აგრეთვე არაგეგმური ტრანსფერების ინიცირება ან გეგმური ტრანსფერის ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტში. ამასთან, ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში აკრძალულია ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში წერია, რომ “კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს“, რაც მცდარია და არ შეესაბამება სიმართლეს შემდეგ გარემოებათ გამო: 2011 წლის 19 დეკემბერს ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი<sup>12</sup>. აგრეთვე, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლების ოფისის (OSCE/ODHIR) 2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელ ანგარიშში ეუთო სახელმწიფო ორგანოებს მოუწოდებს, თავი უნდა შეიკავონ არჩევნების პერიოდში დამატებითი სოციალური პროგრამების დაწყებისგან.<sup>13</sup>”

აღნიშული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით „სამართლიანმა არჩევნებმა“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართეს და ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე დაწყებული სოციალური პროგრამების შეჩერება მოითხოვეს.

## 5.2. მმართველი კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატის მონაწილეობა ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებებში

„ქართული ოცნების“ მიერ დასახელებული პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი ჯერჯერობით ოფიციალურად საპრეზიდენტო კანდიდატად არ არის დარეგისტრირებული, თუმცა იგი წინასაარჩევნო კამპანიას აქტიურად აწარმოებს. იგის ხშირად ჩნდება ბიუჯეტით დაფინანსებულ საჯარო ღონისძიებებზე. მაგალითად, 30 ივლისს მარგველაშვილი დაესწრო „შრომის კოდექსის“ პრეზენტაციასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას, რომელიც ორგანიზებული იყო იუსტიციის სამინისტროს მიერ<sup>14</sup>. აგრეთვე, ახმეტის მაჟორიტარ დეპუტატთან და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებთან<sup>15</sup> ერთად ესწრებოდა თუმეთში გამართულ სახალხო დღესასწაულს „თუშეთობას“<sup>16</sup>.

ღონისძიებაზე ახმეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურაბ ზვიადაურმა მარგველაშვილი პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსით წარადგინა<sup>17</sup>.

„სამართლიანი არჩევნები“ 22 ივლისს გამოქვეყნებულ ანგარიშში დადებითად აფასებდა გიორგი მარგველაშვილის მიერ ოფიციალური კამპანიის დაწყებასთან ერთად განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობის დატოვებას<sup>18</sup>. თუმცა კამპანიის გააქტიურებასთან ერთად ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და პრეზიდენტობის კანდიდატის მხრიდან შეიმჩნევა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ნიშნები, რაც საფრთხეს უქმნის თანაბარი და კონკურენტული წინასაარჩევნო გარემო არსებობას.

<sup>12</sup> იხ. ვენეციის კომისიის რეკომენდაციები, გვ 18 მუხლი 63

<sup>13</sup> იხ ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ანგარიში. გვ. 10 <http://www.osce.org/ka/odihr/elections/93622>

<sup>14</sup> იხ. სტატია <http://gtuc.ge/?p=869>

<sup>15</sup> იხ. კულტურის სამინისტროს განცხადება <http://www.culture.gov.ge/topicdetals-1.7667.html>

<sup>16</sup> იხ: კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ მომზადებული ვიდეომასალა:

[http://www.youtube.com/watch?feature=player\\_embedded&v=tOFSxj8Vl4](http://www.youtube.com/watch?feature=player_embedded&v=tOFSxj8Vl4)

<sup>17</sup> იხ. მუნიციპალიტეტის გვერდი facebook-ზე: <http://on.fb.me/13FraPK>

<sup>18</sup> იხ. 'სამართლიანი არჩევნების' პირველი შუალედური ანგარიში გვ. 3 . <http://www.isfed.ge/main/407/geo/>

## VI. არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში

2013 წლის 4 აგვისტოს საინფორმაციო სააგენტო „გურია news“-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქველმოქმედო ფონდმა „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ გურიის რეგიონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს 12 ეტლი საჩუქრად გადაეცა.

ჟურნალისტებს აღნიშნული ინფორმაცია საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის ოფისში მიაწოდა. „გურიანუსის“ მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში ჩანს, რომ საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მათ კვეხრელი ჟურნალისტს ინტერვიუს აძლევს „ქართული ოცნების“ სიმბოლიკის ფონზე, „ქართული ოცნების“ შტაბის ხელმძღვანელთან ერთად<sup>19</sup>. ჟურნალისტებთან საუბრის დროს კვეხრელმა აღნიშნა, რომ „ქართული ოცნებას“ დიდი წვლილი მიუძღვის ჰუმანიტარულ მისიის განხორციელებაში.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ქმედება, როგორი კეთილშობილური მიზნებითაც არ უნდა იყოს განპირობებული, შეიცავს აგიტაციის ნიშნებს რითაც ირღვევა საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც, საქველმოქმედო ორგანიზაციებს წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა ეკრძალებათ. ხოლო ამ მოთხოვნის დარღვევისათვის საარჩევნო კოდექსი სანქციის სახით ითვალისწინებს ჯარიმას 2000 ლარის ოდენობით.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციად ითვლება „ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს<sup>20</sup>...“

## VII. მოსყიდვა

„სამართლიანი არჩევნები“ 22 ივლისს გამოქვეყნებულ ანგარიშში მიუითითებდა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“ მიერ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის“ დაფინანსება ამომრჩევლის მოსყიდვის საფრთხეს შეიცავს. შესაბამისად, ორგანიზაციამ ფონდ „ქართუს“ მოუწოდა, წინასაარჩევნო პერიოდში შეეჩერებინა „აიპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდში“ ფინანსური და სხვა მატერიალური/არამატერიალური კონტრიბუციის განხორციელება და ამ კონტრიბუციის საფუძველზე მოქალაქეთათვის სხვადასხვაგვარი მატერიალური დახმარების გაწევა“. <sup>21</sup>

<sup>19</sup> იხ: ვიდეო <http://www.gurianews.com/1.html?task=videodirectlink&id=523>

<sup>20</sup> იხ. „საარჩევნო კოდექსი“ მუხლი 2 (3<sup>1</sup>).

<sup>21</sup> იხ „სამართლიანი არჩევნების“ ანგარიში, გვერდი 6-7 <http://www.isfed.ge/main/407/geo/>



შემომწირველების, დაფინანსების წყაროებისა და დაგეგმილ პროექტების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით „სამართლიანმა არჩევნებმა“ 2013 წლის 26 ივლისს სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით „სამართლიან არჩევნებს“ ფონდის შემომწირველების ვინაობის, განხორციელებული შემომწირულობისა რაოდენობისა და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე უარი განუცხადა<sup>22</sup>.

უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს არათანამიმდევრული მიდგომა აღნიშნული საკითხის მიმართ. კერძოდ, განსხვავებით 26 ივლისის პასუხისგან, სამინისტრომ არასამთავრობო ორგანიზაციას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ 2013 წლის აპრილის თვეში ინფორმაცია ფონდის დამფინანსებლებისა და დაგეგმილი პროექტების შესახებ მიაწოდა<sup>23</sup>. ორგანიზაციას მიაჩნია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ფონდის საქმიანობა გამჭვირვალობა, მათ შორის ინფორმაცია ფონდის შემომწირველებისა და შემომწირული თანხების რაოდენობის შესახებ.

## VIII. ჟურნალისტური და სადამკვირვებლო საქმიანობისათვის ხელის შეშლა

### 8.1 კასპის საკრებულოს წევრის მიერ დამკვირვებელ/ჟურნალისტ ირმა კიტრიაშვილზე განხორციელებული მუქარა

რესპუბლიკური პარტიის კასპის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ხათუნა თათანაშვილი და მისი მხარდამჭერები შიდა ქართლის საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტისა და „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლის, ირმა კიტრიაშვილის მიმართ ბოლო პერიოდში სოციალური ქსელის - facebook-ის საშუალებით შეურაცხმყოფელ განცხადებებს ავრცელებენ და ხელს უშლიან ჟურნალისტური და სადამკვირვებლო საქმიანობის განხორციელებაში.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებელი, ირმა კიტრიაშვილი აცხადებს, რომ მის მიმართ აგრესია მას შემდეგ გამოიერდა, რაც მან ყოფილი კუდ-ის და ამჟამად სუს<sup>24</sup>-ის კასპის რაიონული უფროსის, გიორგი გერმისაშვილის მიერ სკოლის დირექტორებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტები გაახმაურა.<sup>25</sup> ზეწოლა კიტრიაშვილზე იმ სიუჟეტის გამოც განხორციელდა, სადაც

<sup>22</sup> 2013 წლის 26 ივლისს „სამართლიანმა არჩევნებმა“ წერილით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია ფონდის შემომწირველების ვინაობისა და განხორციელებული შემომწირულობის რაოდენობის, ასევე, ფონდის მიმდნარე და დაგეგმილი პროექტების შესახებ. სამინისტრომ ორგანიზაციას განუცხადა, რომ ფონდის შემომწირველთა შესახებ ინფორმაცია პირად საიდუმლოს წარმოადგენს, ხოლო სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მოგვაწოდოს ინფორმაცია მომდევნო სამი თვის განმავლობაში ფონდის მიერ დაგეგმილი პროექტების შესახებ.

<sup>23</sup> იხ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხი: <https://drive.google.com/?tab=mo&authuser=0#my-drive>

<sup>24</sup> სახელმწიფო უშიშროების სამსახური;

<sup>25</sup> შენიშვნა: კასპის რაიონის საჯარო სკოლის დირექტორები, რესურცენტრის ხელმძღვანელმა დავით ზანგურმა სამეურვეო არჩევნების წინა დღეს დაიბარა თათბირზე შემდეგ კი სთხოვა ცალ-ცალკე შესულიყვნენ მის

ჟურნალისტმა დაფიქსირა თუ როგორ მოუწოდებს ხათუნა თათანაშვილს საკრებულოს ერთერთი დეპუტატი, შალვა დემეტრაშვილი სხდომის ჩაშლისაკენ.

აღნიშნული სიუჟეტის გავრცელების შემდეგ ჟურნალისტის მიმართ შეურაცხყოფელი პოსტები და კომენტარები არ წყდება. ამასთან, რესპუბლიკური პარტიის ადგილობრივი შტაბის ხელმძღვანელი, ხათუნა თათანაშვილი მას პერიოდულად ურეკავს, ემუქრება და შეურაცხყოფელი სიტყვებით მოიხსენიებს<sup>26</sup>.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების მხრიდან სამოქალაქო და მედია ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში მისი დისკრედიტაციის და საქმიანი რეპუტაციის შეზღავანის მცდელობა ან მუქარა, რაც შესაძლებელია შეიცავდეს საქართველოს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს.<sup>27</sup>

## **8.2. სამართლიანი არჩევნების ქობულეთის გრძელვადიანი დამკვირვებლისათვის ხელის შეშლა**

სავარაუდოდ სამსახურიდან უკანონო გათავისუფლების გადამოწმების მიზნით 2 აგვისტოს „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებელი ქობულეთის რაიონულ საავადმყოფოს ადმინისტრაციას ეწვია. ვინაიდან ადმინისტრაციის მენეჯერი ადგილზე არ იმყოფებოდა, დამკვირვებელმა გაესაუბრება კანცელარიისა და პერსონალის ადმინისტრირების სამსახურის უფროსთან, ნაირა ფხაკაძეთან სცადა, რომელმაც ინფორმაციის მოწოდებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

დამკვირვებელმა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების განყოფილებაში მძღოლთან გასაუბრება სცადა, თუმცა დაცვის თანამშრომელმა აგრესიული ფორმით აიძულა დაეტოვებინა საავადმყოფოს ტერიტორია.

---

კაბინეტში, სადაც იმყოფებოდა გიორგი გერმისაშვილი. გიორგი გერმისაშვილმა პკედაგოგებს პირადი ინფორმაცია გამოკითხა.

<sup>26</sup> იხ სტატია <http://qartli.ge/web/13433>

<sup>27</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ე.ი მისი იძულება, გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი გავრცელებისაგან, ისევეა ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ას ოციდან ას ორმოც საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი, ვადით ორ წლამდე.

## IX. კანდიდატების რეგისტრაცია

### 9.1. რეგისტრირებული და დასახელებული კანდიდატები

ამ ეტაპზე ცესკოს მიერ რეგისტრირებულია 1 პრეზიდენტობის კანდიდატი, რეგისტრაციის თაობაზე განცხადება წარდგენილი აქვს 26 კანდიდატობის მსურველს, ხოლო რეგისტრაციაზე უარი ეთქვა 3 კანდიდატს.<sup>28</sup>

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრაიმერის ექვსივე რაუნდში გამარჯვება დავით ბაქრაძემ მოიპოვა, შესაბამისად, იგი „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელდა, თუმცა ცესკოში რეგისტრაცია ჯერ არ გაუვლია.

რეგისტრაციის შესახებ განცხადება ცესკოში წარდგენილი არა აქვს მმართველი კოალიციის კანდიდატს, გიორგი მარგველაშვილს, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსით უკვე ეწევა წინასაარჩევნო აგიტაციას.

### 9.2. ცესკოს უარი ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა რეგისტრაციაზე თაობაზე

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ორმაგი მოქალაქეობის მქონე კანდიდატებს, ტარიელ ხვედელიძესა და გიორგი გახოკიას უარი უთხრა კანდიდატად რეგისტრაციის თაობაზე განცხადების მიღებაზე.<sup>29</sup> აღნიშნულ გადაწყვეტილებას ცესკოს თავმჯდომარემ საფუძვლად დაუდო კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტი, რომლის თანახმადაც, „საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.“

2013 წლის 11 ივლისს ცესკოს გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნით სასამართლოში სარჩელი შეიტანა ევროკავშირისა და საქართველოს მოქალაქეობის მქონე კანდიდატობის მსურველმა, ტარიელ ხვედელიძემ. 2013 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით, სასამართლომ ცესკოს ტარიელ ხვედელიძის სარჩელი არ დააკმაყოფილა.<sup>30</sup>

ამასთანავე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპიკერმა გაცხადებული საარჩევნო მიზნების მქონე ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს, სალომე ზურაბიშვილს, წინასწარ საჯაროდ განუცხადა, რომ რეგისტრაციის თაობაზე განცხადებს წარდგენის შემთხვევაში, მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკის

<sup>28</sup> იხ. საპრეზიდენტო კანდიდატები.[http://cec.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=231&info\\_id=12257](http://cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=231&info_id=12257)

<sup>29</sup> იხ. ცესკოს თავმჯდომარის 2013 წლის 10 ივლისის #16/2013 და #17/2013 განკარგულებები;

<sup>30</sup> თბილისის საქალაქო სასამართლის 2013 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე #3/2473-13;

მიხედვით, ცესკო უარს ეტყობდა საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირებაზე.<sup>31</sup> ცესკო აღნიშნულ პოზიციას უკავშირებს კონსტიტუციის იმ ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც საქართველოს პრეზიდენტი იმავდროულად არ შეიძლება იყოს უცხო სახელმწიფოს მოქალაქე<sup>32</sup>. სალომე ზურაბიშვილი ცესკოს არგუმენტებს უსაფუძვლოს უწოდებს.

### 9.3. „სამართლიანი არჩევნების“ მოსაზრება ცესკოს მიერ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა რეგისტრაციის თაობაზე განცხადების მიღებაზე უარს თქმის შესახებ

„სამართლიანი არჩევნები“ მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ უკრძალავს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს უფლებას, კანდიდატის სტატუსით მონაწილეობა მიიღონ საპრეზიდენტო არჩევნებში. მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციური ნორმები ამ მხრივ, გარკვეულწილად, ნათლად არ არის ჩამოყალიბებული, თუმცა, მათი არა ფრაგმენტული, არამედ ერთობლივი, კომპლექსური განმარტებიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა კანდიდატად დარეგისტრირებაზე განცხადების მიღებაზე უარის თქმით კონსტიტუციის არასწორი ინტერპრეტაცია მოახდინა შემდეგი გარემოებების გამო:

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავმიჯნოთ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთათვის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, ანუ კანდიდატად ყოფნის უფლება და უფლება, დაიკავონ მაღალი პოლიტიკური თანამდებობები.

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტი, რომელზეც ცესკო აპელირებას აკეთებს, აცხადებს, რომ „საქართველოს პრეზიდენტის ... თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა.“ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს უკრძალავს პრეზიდენტის პოსტის დაკავების უფლებას, მაგრამ, არა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას.

საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლი მე-2 პუნქტის თანახმად, “პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში.” აღნიშნული ნორმა საქართველოს მოქალაქეს უფლებას აძლევს არჩეულ იყოს საქართველოს პრეზიდენტად. საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლი განასხვავებს „პრეზიდენტის არჩევას“ და „პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებას“, რაც მის მიერ ფიცის დადების მომენტიდან დგება. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს (მათ შორის მათაც, ვისაც ამავედროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეობა აქვს), უფლება აქვს აირჩიონ პრეზიდენტის თანამდებობაზე, თუმცა, კონსტიტუციის 29-

<sup>31</sup> <http://www.tabula.ge/ge/story/73182-cesko-konstituciit-zurabishvili-saprezidento-kandidatad-ver-daregistrirdeba>

<sup>32</sup> საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 29 (1<sup>1</sup>)

ე მუხლის მე-ე პუნქტი მას პრეზიდენტის თანადებობის დაკავების უფლებას არ აძლევს მანამ, სანამ არჩეული კანდიდატი უარს არ იტყვის უცხო ქვეყნის მოქალაქეობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებები, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთათვის რეგისტრაციის გავლაზე უარის თქმის შესახებ შესაბამისობაში არ მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან.

ამასთანავე, ორგანიზაციას სურს გამიჯნოს იმ ორმაგი მოქალაქეების უფლებები, **დაიკავონ პრეზიდენტის თანამდებობა**, რომლებიც საქართველოს მოქალაქეობის გარდა ფლობენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა და სხვა - ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს მოქალაქეობას.

საქართველოს კონსტიტუციის 104<sup>4</sup>-ე მუხლის თანახმად, „2014 წლის 1 იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად შესაბამისი ასაკიდან აქვთ პირებს, რომლებიც დაბადებული არიან და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და **ამ მუხლის ამოქმედების მომენტისთვის აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა.**“ ამასთანავე, აღნიშნული მუხლი აღნიშნავს, რომ ევროკავშირის წევრ მოქალაქეებზე არ ვრცელდება კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა, დაიკავონ პრეზიდენტის თანამდებობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორგანიზაციას მიაჩნია:

- ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს უფლება აქვთ კანდიდატის სტატუსით მონაწილეობა მიიღონ საპრეზიდენტო არჩევნებში;
- გამარჯვების შემთხვევაში, 2014 წლის 1 იანვრამდე იმ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს, რომელიც საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად ფლობს ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეობას (და ამავდროულად აკმაყოფილებს ასაკისა და საქართველოში ცხოვრების ცენზუს), უფლება აქვს ეკავოს პრეზიდენტის თანამდებობა;
- გამარჯვების შემთხვევაში, იმ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს, რომელიც საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად ფლობს ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქეობას, უფლება არა აქვს დაიკავოს პრეზიდენტის თანამდებობა, თუკი ფიცის მიღების დღემდე არ დაკარგავს უცხო ქვეყნის მოქალაქეობას.

## X. პარტიების/კანდიდატების საჯარო შეხვედრები

„სამართლიანი არჩევნების“ ინფორმაციით, 2013 წლის 15 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატის მიერ 39 საჯარო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრების ძირითად მიზანს კვლავაც ადგილობრივი ოფისების დაარსება, საუბნო კომისიის წევრების შესარჩევი პროცესის დაწყება და ადგილობრივი აქტივისტების მობილიზება წარმოადგენდა.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ 27 საჯარო შეხვედრა გამართა. შეხვედრებს სხვადასხვა ოლქში კოალიციაში შემავალი პარტიები ახორციელებენ. პარტიების შეხვედრის მთავარ მიზანს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კანდიდატების შერჩევა და ადგილობრივი ორგანიზაციების დაკომპლექტება წარმოადგენდა. ამ მიზნით შეხვედრები გაიმართა ლაგოდეხში, მარნეულში, ხობში, წალენჯიხაში, ქობულეთში, თელავში, ასპინძაში, შუახევში. გურჯაანში, რუსთავში.

“ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ”, ორგანიზაციის ინფორმაციით, 5 შეხვედრა გამართა, მათ შორის პრაიმერი ზუგდიდში, ბათუმსა და თბილისში.

პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის დაკვირვებით 2 შეხვედრა გორში გამართა.

ორგანიზაციის გრძელვადიანმა დამკვირვებლები პრეზიდენტობის კანდიდატის, ნესტან კირთაძის მიერ გამართულ 5 შეხვედრას გორში დააკვირდნენ.

## XI. მისიის შესახებ

საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ 2013 წლის 1 ივლისს დაიწყო. „სამართლიანი არჩევნები“ დაკვირვებას საქართველოს ყველა საარჩევნო ოლქში 73 გრძელვადიანი დამკვირვებლის მეშვეობით ახორციელებს, რომლებმაც სათანადო მომზადება და ტრენინგი მონიტორინგის დაწყებამდე გაიარეს. გრძელვადიანი დამკვირვებლები თავიანთი საქმიანობისას ხელმძღვანელობენ სადამკვირვებლო ორგანიზაციებისათვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით<sup>33</sup>, რაც, პირველ რიგში, პროცესის სრულყოფილად, ობიექტურად, გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად დაკვირვებას გულისხმობს. ორგანიზაციის დაკვირვება შემდეგი მიმართულებებით ხორციელდება:

- პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების მიერ გამართული საჯარო შეხვედრებისა და სხვა პოლიტიკური საქმიანობის დაკვირვება, აგრეთვე მათ მიერ ამომრჩევლისათვის მიცემული დაპირებების მონიტორინგი;
- ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტების გამოვლენა და შესწავლა;
- პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა/მუქარის, პოლიტიკური საქმიანობისათვის ხელის შეშლისა და ამომრჩევლის მოსყიდვის შემთხვევების გამოვლენა და სათანადო რეაგირება;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგი, რაც, ძირითადად, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პროცესსა და საქმიანობაზე დაკვირვებას გულისხმობს .
- საარჩევნო გარემოს ზოგადი შეფასება.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის პირველი ანგარიში 2013 წლის 20 ივლისს გამოაქვეყნა.<sup>34</sup>

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს 2013 წლის 20 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით პერიოდს.

„სამართლიანი არჩევნების“ მიერ დაფიქსირებული დარღვევები შესაძებელია იხილოთ საარჩევნო ვებ-პორტალზე: [www.electionportal.ge](http://www.electionportal.ge)

---

<sup>33</sup> „სამართლიანი არჩევნები“ დაკვირვების პროცესში ხელმძღვანელობს საერთაშორისო დეკლარაციით „არაპარტიული საარჩევნო დაკვირვებისა და სამოქალაქო მონიტორინგის გლობალური პრინციპების შესახებ“, დეკლარაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: <http://www.gndem.org/declaration-of-global-principles>; ხოლო შეფასებების დროს ეყრდნობა და იზიარებს ეუთოს კოფენჰაგენის დოკუმენტის პრინციპებსა და სულისკვეთებას.

<sup>34</sup> „სამართლიანმა არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის პირველი ანგარიში იხილეთ შემდეგ ბმულზე: <http://www.isfed.ge/main/408/geo/>